№ 23

სამშაბათი, 30 იანვარი 1896

1877—1896

# ივერია

№ 23

სამშაბათი, 30 იანვარი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 21 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 0 | 5 | 5 | 50 |
| 01 | 8 | 5 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | | 3 | 3 | 50 |
| ბ | 7 | 2 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 5 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომე —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## „ივერია"

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის" რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 31 იანვარს, 1896 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ

ქ-ნ ჯავახიშვილისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით

I

**გაპოტრებული აზნაური**

კომ. 5 მოქმ. თარგმ. ვ. ა. აბაშიძის-მიერ.

დასასრულ

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ბბ. გრ. აბაშიძე, ბალანჩივაძე, არაქსიანი და კ. მესხი.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, კ. მესხი, გუნია, გედევანოვი, ადამიძე, კარბელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ტფილისის კლუბის დარბაზში

ხუთშაბათს 1 თებერვალს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გაიმართება

**ბალი**

ბილეთის ფასი 2 მან. და 10 კ.

(3—1)

განვიზრახე შევადგინო რამდენიმე გუნდი ქართული გალობისა და ყველა კუთხის საქართველოს სიმღერებისა, რომლის ჩქარა განსახორციელებლად ვასწავლი ნოტებს, თეორიას მუსიკისას, ლოტაბარობას და სურვილისამებრ ევროპიულ სიმღერებსაც იტალიანურად, რუსულად და ფრანგულად. მსურველი ამ სასიამოვნო საგნის სწავლისა, იმედია ბევრი აღმოჩედება, რომელთაც ვსთხოვ მობრძანდნენ მოსალაპარაკებლად «დვორიანსკი ნომრებში" ცხრა საათიდამ თორმეტამდის დილით და ოთხი საათიდამ ექვსამდინ ნაშუადღევს, თუ არა და თვითონ შეიკრიბნენ სადაცა ჰსურთ და იქ დამიძახონ მოსალაპარაკებლად.

არტისტი მომღერალი ფილიმონ ქორიძე.

(2—1)

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, 28 იანვარს, თითქმის ტფილისის ყველა ეკკლესიებში იქმნა გარდახდილი პანაშვიდი განსვენებულის მღვდელთ-მთავრის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდებზედ მრავალი სიტყვა იქმნა წარმოთქმული იმის შესახებ თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ბრწყინვალე ადამიანს ჩვენის ეკკლესიის წინაშე თავის სამაგალითო ცხოვრებითა და ქადაგებებით.

*** კვირას, 28 იანვარს, სათავადაზნაურო ბანკის სადგომში მოხდა საგანგებო კრება ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა. ამ კრებას, როგორც გამოცხადებული იყო, უნდა აერჩია გამგეობის თავმჯდომარე ბ. ზუბალიშვილის მაგიერ. კანდიდატებათ დასახელებულნი იყვნენ დ. ი. მსუხელაშვილი, გ. ს. განზიელი და თავ. ვლ. ს: მიქელაძე ამ ჟამად ამ ბანკის დირექტორი. უკანასკნელმა უარი განაცხადა და კენჭი უყარეს ბბ. მუსხელაშვილს და განზიელს. არჩეულ იქმნა გ. ს. განზიელი 59 ხმით წინააღმდეგ 25; დ. ი. მუსხელაშვილმა მიიღო 35 თეთრი და 47 შავი. ბ. განზიელის მაგიერ, საბჭოს წევრად ერთხმად არჩეულ იქმნა გენერალ-მაიორი თ. ვ. საგინაშვილი. ამავე კრებამ დაადგინა, რომ გამგეობის თავმჯდომარეს დაენიშნოს 1200 მანათი ჯამაგირი, სწორეთ იმდენი, რამდენსაც ახლა იღებენ ამ ბანკის დირექტორები; მხოლოდ თუ წმინდა მოგება დარჩა მაშინ თავმჯდომარეს უნდა დაენიშნოს 1800 მანათი.

*** ბორჯომიდამ შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „გუშინ, 27 იანვარს, მრავალის მლოცველების თანადასწრებით ბლაღოჩინმა სერგი დავიდოვმა პანაშვიდი გარდაიხადა ბორჯომის იოანე-ნათლისმცემელის ეკკლესიაში ახლად გარდაცვალებულის დიდის მწყემსთ-მთავრის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდე მამა სერგი დავიდოვმა ქართულს ენაზე საგრძნობელი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, როგორც გამოჩენილის მქადაგებლისა. სიტყვა ასე გაათავა: ვილოცოთ, რომ უზენაესმა სხვაც ბევრი მოგვცეს ასეთი ღირსეული შვილიო. ხალხი მეტად შეწუხებულია".

*** შაბათს, 27 იანვარს, მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს ბალი ჰქონდა გამართული. ბალი დილამდე განეგრძო.

*** გაზეთებში დაბეჭდილი იყო ამბავი, რომ მთავარ-უფროსად განზრახულ სენატორთა რევიზიისა კავკასიაში დანიშნულ იქნებაო ბარონი იკსკულ ფონ-გილდებანდი. „მოსკოვსკია ვედომოსტი" ამბობს, რომ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ეგ ამბავი მართალი არ არისო.

*** დღეს, 30 იანვარს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო „საზოგადოების წევრთა სხდომაა დანიშნული. სხდომა განიხილავს მიმდინარე საქმეებსა და საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვას ამ 1896 წლისას. სხდომას გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ტფილისის საპატიო მოქალაქის ქვრივმა კეკელა თანდოევისამ აცნობა უსინათლოთა კავკასიის განყოფილების ტფილისის სკოლის მზრუნველს გრაფინა ს. დ. ტატიშჩევისას, რომ მან უანდერძა ამ სკოლას 500 მან.

ამ მიბაძვის ღირსს საკეთილო საქმისათვისა მადლობას უცხადებს გრაფინა ტატიშჩევისა შემომწირველს.

*** საზოგადოებას მართლ-მადიდებლობის აღმადგენელისას კავკასიაში გადაუდვია ხუთასი თუმანი, რომ ყოველს ეკკლესიასთან, რომელიც ამ საზოგადოების ხელშია, ბიბლიოთეკა იყოს დაარსებული სარწმუნოების და საზნეო შინაარსის რუსულის და ქართულის წიგნებისაო. (ნ. ვ.)

*** შაბათს, 27 იანვარს, საიდუმლო და საზარელი მკვლელობა მოხდა; ტფილისელი დროებითი 1-ლის გილდის ვაჭარი ს. ბ. გევორქევი, რომელიც მესამე გიმნაზიის მახლობლად სცხოვრობდა თავისს საკუთარს სახლში, ვიღაც ორის უცნობ ბოროტ-განმზრახველისაგან იქმნა მოკლული. გევორქევი ღამის ასე 7 საა-

## ფელეტონი

### ლეკი ისმაილ.

(სიუჟეტი აღებულია *).

დაჯდა ისმაილ ციხის ძირს
თავ-პირში იცემს „ვაითა",
„ლეკო, ინგილო, კახელო,
შეიმოსენით შავითა.
გმართებთ გლოვა და ტირილი
თქვენის ცოცხალის თავითა,
ჭარ ბელექანის მთაც სტირის
ამგვარი სანახავითა.
რაღათ ვართ, ძმანო, ცოცხალნი
ყელ გამოვიჭრათ დანითა,
შავ მიწას ამოვეფარნეთ
თოფ-ხანჯალით და ხმალითა.
ჩვენვე უთხრიდით ორმოსა
ჩვენს თავს ცხადლივ და მალვითა.
—რაო სტირი, ბერო ისმაილ,
რა ჭირი გადგა კარზედა,
თმა-წვერი გაგიწეწნია,
ხანჯალ დაგიკრამს მკერდზედა?!
ჰკითხავდნენ ინგილოები
შემოხვეულნი გარზედა,
ცოლ-შვილი ტყვეთ თუ წაგისხეს,
ან ძმა მოგიკლეს მთაზედა?
—ვაიმე ხალხო რას ამბობთ,
არ გიფიქრიათ თავზედა,
ვერ გაიგეთა ვარსკვლავი
ჩაქრა სამშობლოს ცაზედა.
თუ თავსა ჭირში ვერა სცნობთ
ბრმები ყოფილხართ ბრმაზედა.
გული მიკვნესის, სიტყვანი,
რომ მაგონდება გმირისა,
პატარა კახის კახთ მეფის
კახელთა დასატირისა.
ყური დამიგდეთ, მე გეტყვით
ამბავს უტყუარს, მართალსა:
ლეკი ებრძოდა კახეთსა,
როგორც აფთარი აფთარსა.
არ ასვენებდა ერთ წუთას
არც ზაფხულ, არცა ზამთარსა.
ხან იქ მიუხტის, ხან აქა,
ხან ბარს დაეცის, ხან მთასა.
ბოლოს გაცეცხლდა ერეკლე
დიდათ გაჯავრდა ლეკზედა;
ერთს დღეს, შევხედოთ, ალაზნით
ჯარი გადმოდგა ბექზედა.
წინ მოუძღოდა ერეკლე,
მეფე ჯომარდი მკლავითა,
არ მოუხრია მას ქედი
მტრის წინ ცოცხალის თავითა.
ჩვენც თოფებს ხელი წავავლეთ
და მტერს დავუხვდით ველზედა,
წინ გახტა ჩვენი ბელადი
იწვია ერეკლეზედა.
გამოაქანა ერეკლემ
თავისი მარდი ქურანი,
შეიბნენ ორი არწივი,
ორივ ვეფხვივით გულანი!
იქით ქართველნი შეფერხდნენ,
აქედამ ჩვენი ჯარია,
ველარ გავძარით ჩვენ ხელი,
მათ გაუსწორეთ თვალია.
ერთი რომ ხმალსა მოუქნევს,
მეორე გახტის განზედა,
ჩვენი სარდალიც გათქმული
იყო ჭარ-ბელექანზედა.
ბოლოს გაბრაზდა ერეკლე
ცხენი მიაგდო ფალავანს,
თავიდამ ხმალი დაუშვა,
მთლად ჩაუვარა ტალავარს.
მიწას დაეცა ბელადი,
შეჰკრთა ლეკების ჯარია,
მაგრამ არ დადგა უკანა,
მტრის ხმლის ქვეშ სული დალია.
დავმარცხდით, მეფე ერეკლე
სოფელს შევიდა ჯარითა,
გვეგონა მიგვლეწ-მოგვლეწდა
დაბრუნდებოდა დავლითა
მაგრამ დევგმირი ძალ-ღონით
გმირიც ყოფილა სულითა,
გარს ლეკი შემოიკრიბა
მიჰმართა ძმური სიტყვითა.
უთხრათ ლეკებო, რას გვერჩით,
რათ არ გვანებებთ თავსაო,
რას დაძრწით ტურებსავითა
კახეთ-ქიზიყის მხარსაო?
ჩვენ არა ვხმარობთ თქვენზედა
არც ხანჯალს, არცა ხმალსაო,
ომის მაგიერ თქვენც უნდა
ეძებდეთ ჩვენთან ზავსაო,
ჩვენ ერთათ უნდა ვცდილობდეთ
საერთო მტრიდამ ხსნასაო.
დაწყნარდით თორემ ინანებთ,
გვიან იქნება, ძმია,
გონს მოდით, ვიდრე ხელთა გაქვთ
თავისუფალი თავია.
ღმერთმა აცხონოს, უფალმა
მას გაუნათლოს სულითა,
ის შორს ხედავდა ჩვენ საქმეს
გრძნობა-გონებით ბრძნულითა.
არ გაუგონეთ და აი
კარზედ მოგვადგა ჭირია,
და ახლაც მკითხავთ, ისმაილ,
რა იყო, რათა სტირია?!

ი. ევდოშვილი.

*) იხ. „ივერია" 1895 წ. წერილი მ. ჯ.

### ჩეხიის „წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" (მატიცა).

(თარგმანი).

თუ ოდესმე მოგიხდათ პრაგაში ყოფნა, უთუოდ თქვენს ყურადღებას მიიზიდავდა ერთი გარემოება. სულ ყოველგან,—ყავახანაში, კონდიტერებში, სხვა-და-სხვა მაღაზიებში, თუ-კი ჩეხელს ეკუთვნის იგი, დაინახავთ კედელზე ჩამოკიდებულს, ჩარჩოში გაკეთებულს ქაღალდს. ამ ქაღალდზე რაღაცა წარწერაა.

თუ ჰკითხავთ პატრონს, რას ნიშნავს ეს ქაღალდი, ის ჯერ გაკვირვებით შემოგხედავს და მერე რა-კი დარწმუნდება, რომ უცხოელი ხართ, დინჯად დოინჯს შემოიყრის და გიპასუხებთ,—ეს გახლავთ „ჩეხიის მატიცა"-ს დიპლომი. ასეთი დიპლომი ყველას ეძლევა, ვინც ასს გულდენს [1]) შეჰკრებს „მატიცა"-ს სასარგებლოდ. ამასთანავე გამოგიწოდებთ ფულების მოსაგროვებელს პატარა ყუთს და გთხოვთ ჩააგდოთ ორიოდე კრეიცერი „მატიცა"-ს სასარგებლოდ.

როცა გამოიკითხავთ, რა არის „მატიცა" და შეიტყობთ რა სამსახური გაუწია მან ჩეხელების ცხოვრებას, მაშინ გაიგებთ, რატომ მიაჩნიათ აგრე სასიქადულოდ და დიდმნიშვნელოვანად ჩეხლებს ეს დაწესებულება.

—

[1]) გულდენი სამი აბაზი და ერთი შაურია. ასი კრეიცერი ერთ გულდენს შეადგენს, ასე რომ კრეიცერი კაპეიკზედ უფრო ცოტაა.

თზე თავისს დუქნიდამ (სიონის ქუჩაზე აქვს, ზუბალოვის ქარვასლაში) შინ მიდიოდა. განოვის ქუჩის კუთხესთან მას ორი უცნობი კაცი შეჰხვდა. შეხვედრა და გევორქევის მიწაზე დაცემა ერთი იყო; საბრალომ ერთი-ღა დაიკივლა თურმე მიშველეთო. დანა ორ ადგილასა ჰქონდა მუცელში დარტყმული. ყვირილზე მაშინვე ქუჩის მცველი პოლიციელი მივიდა და სახლში წაიყვანა, რომელიც სულ რამდენსამე ნაბიჯზედ იყო იქვე, მაგრამ დაჭრილმა სახლამდის ვერ მიაღწია და სული დალია. ეს მკვლელობა იქამდე სწრაფად და ხერხიანად ჩაიდინეს მკვლელებმა, რომ იქვე მდგომმა ორმა გიმნაზიელმა და გიმნაზიის დირექტორმა ვერც-კი შეჰნიშნეს, ვიდრე გევორქევი მიწაზე არ დაეცა. ბოროტ-განმზრახველნი კი მაშინვე ფაეტონში ჩასხდნენ და თავს უშველეს. როგორც გაზეთი „კავკაზი" სწერს, ხსენებული ვაჭარი მდიდარი იყო, ანგარიშის გასწორების დროს ფრთხილი და არავის რას უჭერდა; სცხოვრობდა მშვიდობიანად და როგორც ვუწყით, მტრები არა ჰყავდაო. ვალები არა ჰქონდა და სიკვდილის წინად სახელმწიფო ბანკში კრედიტიც გაიჩინა. როგორც გარემოება მკვლელობის ჩადენისა ამტკიცებს, ბოროტ-განმზრახველთ აზრად სრულიადაც არ უნდა ჰქონოდეთ ფული ან სხვა რამე წაერთმიათ მოკლულისათვის. ამ რიგად ეს მკვლელობა მეტად საიდუმლოა. ამგვარად ეს უკანასკნელი მკვლელობა უნებურად გვაგონებს ორს ამბავს, რომელიც ამ ზამთარს მოხდა ტფილისში, სახელდობრ მას, რომ განზრახვა ჰქონდათ მოეკლათ ადგილობრივი მდიდარი ვაჭრები აბოვიანცი და მაკაროვი, მაგრამ საბედნიეროდ ამათა ისეთი ცუდი შედეგი არ მოჰყვათო, ამბობს გაზეთი.

*** დ. ველისციხე: არ იქნა და არაფერი ეშველა ჩვენს სოფელს, ქურდობა ვერ მოსპო აქაურმა პოლიციამ. წვრილფეხი საქონელი, შინაური ფრინველი და სხ. უანგარიშო იკარგება მუდამ. ამ ბოლოს დროს-კი სხვა ხელობაც შემოიღეს. ადგნენ და ამ უკულმართმა ვაჟბატონებმა ახლა სახლების დაწვა შემოიღეს. ამ რამდენიმე ხნის წინად ერთს ისეთს უბედურს და საწყალს გლეხს დაუწვეს სახლი, რომ მისის საცოდაობით ქვა იწვოდა. ხალხი მალე მიეშველა, მაგრამ ვერასფერს გახდა, რადგანაც სახლი ჩალით იყო დახურული და ელვის სისწრაფით მოედო ცეცხლი. საწყალს, სახლს ვინა სჩივის, დაეწვა მთლად წლის სარჩო, თუ სადმე რამ მოეძევებოდა.

*** სოფ. ელხოტი, (კავკავის მაზრა): თორმეტს იანვარს ელხოტში ორი კაცი გარდაიცვალა ნახშირის სუნით: ამ უბედურებს ღუმელი ადრე დაეხურნათ და შიგ ამომრჩვალიყვნენ.

*** სოფ. არიყი, (კავკავის მაზრა): 17 იანვარს აქ ერთი საზარელი მკვლელობა მოხდა. არიყში მცხოვრები, გვარად საბათიყოევი, სოფლის კანცელარიის ყარაული, რომელსაც ღამ-ღამობით კანცელარიაში ეძინა ხოლმე, ამ ღამეს ვიღაც უცნობთ თურმე გაიხმეს გარეთ, საქმე გვაქვს გამოდიო. გასულიყო თუ არა, დაეჭირათ ეს უბედური და ყელი გამოეჭრათ. ეჭვი ორ კაცზედ მიიტანეს, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებოდათ და საბათიყოევი-კი მთხრობლად გამოსულიყო იმ წინა კვირას. გამოძიება სწარმოებს.

## კორესპონდენცია.

**სოფ. აკაურთა** (ბორჩალოს მაზრა), 24 იანვარი. წარსული წლის ნოემბრის დამლევს სოფ. აკაურთას მომიხდა წასვლა. ეს სოფელი არის დასახლებული ქართველებით, რაც დღეს იშვიათი გახდა ბორჩალოს მაზრაში. გულ-გატეხილი ჩვენს საქმეზედ, მე მივდიოდი ამ სოფელში არაფერი სასიამოვნო ამბის არ მომლოდინე. მივატანეთ სოფელს და შემომესმა საშინელი ყრიამული. ვიფიქრე უთუოდ კიდევ მოჰკლეს ვინმე თათრებმა და ეს ყრიამული არის გლოვა და მოთქმა მოკლულის ნათესავებისა-მეთქი. მეეტლე, რომელსაც მივუახლდი მე, თითქო მიმიხვდა, რაც ფიქრმა გამიარა გულში.

— ეს სკოლის მოწაფეების ყრიამულია, მომიბრუნდა და მითხრა. ჩინებული სკოლა გახლავთ აქა. ეგ სკოლა გამართა აქაურმა მებატონემ ნიკოლოზ არღუთინსკიმ. მთელი ქვეყანა ჰლოცავს მაგასა.

ამ ამბავმა მე დიდად გამაოცა. რადგან მე თვითონაც ნიკოლოზ არღუთინსკისთან მივდიოდი, გავაშურებინე ეტლი და შევედით ხსენებულის არღუთინსკის სასახლის ეზოში. წარმოიდგინეთ ჩემი სიამოვნება, როდესაც დავინახე ოც-და-ათამდე პატარა ქალი და ვაჟი ერთმანერთშა არეული, მოცქრიალე, ცოცხლად, მკვირცხლად მოთამაშე, ბავშვურის სისარულითა და სიამოვნებით აღსებულნი. ჩვენს შესვლაზედ იმათ უცებ შესწყვიტეს ყრიამული და გაოცებით დაგვიწყეს ყურება. დარეკეს ზარი. ბავშვები შევიდნენ სასწავლებელში. ვიდრე სასახლეში შევიდოდი, მომესმა კლასიდამ წმიდა ვერცხლივით წკრიალა შეწყობილი ხმით სიმღერა ბავშვებისა ქართულად: „მახსოვს პირველად სასწავლებელში" და სხვა.

სასახლეში მომეგება თ. ნიკოლოზ არღუთინსკი. ისეთს აღტაცებაში მომიყვანა მე ამ სკოლის სანახაობამ, რომ ვინაღამ გადავეხვიე კაცს, რომლისაც ცნობა მალიან ნაკლებად მქონდა. წარმოიდგინეთ! სკოლა და ისიც ბორჩალოს მაზრაში, ისიც ქართველ სოფელში!.. სიტყვები ვეღარ მეპოვნა, როგორ გადამეხადნა მადლობა ამ პატიოსანის მოღვაწისათვის.

— გმადლობთ, უმაწვილო კაცო, — მიპასუხა ამან ჩემს აღტაცებაზედ, მაგ თანაგრძნობისათვის. მე ერთი უშვილო კაცი ვარ და ჩემთვის ნუგეშად და შვილებად ეგენი, ეგ მოსწავლეები, ეგ გლეხობა, ეგ სკოლა ამიჩენია. მაგათით ვცხოვრობ, მაგათით ვნუგეშობ, მაგათში ვერთობი და ვეცდები კიდეც საქმე საბოლოოდ მკვიდრად დავაყენო, რომ აქაურმა გლეხმა არამც თუ მარტო წიგნი ისწავლოს, შეიძინოს ცხოვრებაში გამოსაყენებელი ხელობა და სხვა რიგი საქმენიცაო.

ამ სიტყვებზედ მე უნებურად მომაგონდა პოეტის სიტყვები და ვუთხარი ჩემს კეთილშობილს მემუსაიფეს:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია".

შემდეგ რამდენისამე ხნის მუსაიფისა, ჩვენ წავედით სკოლის დასათვალიერებლად. ჩვენს დანახვაზედ უმაწვილები მკვირცხლად წამოვიდგნენ ფეხზედ. მასწავლებელმა ქალმა უთხრა დამსხდარიყვნენ. მოსწავლეებს მივეცით რამდენიმე კითხვა იგავ-არაკებიდამ, არითმეტიკიდამ და კიდევ სხვა-და-სხვა საკითხავებიდამ და გასაოცრად სისწრაფით და მკაფიოდ გვაძლევდნენ პასუხს, მეტადრე ქართულად. დაფაზედ გავაკეთებინეთ ამოცანები და აქაც გაგვაკვირვეს თავისის მომზადებით, გონების სიმკვირცხლით.

ეს მესამე წელიწადია, რაც თ. ნიკ. არღუთინსკის ეს სასწავლებელი გაუხსნია თავისის საკუთარის ხარჯით და აუშენებია მისთვის შენობა. სასწავლო ნივთი ყოველი, რაც საჭიროა, აქვს სკოლასა, აგრეთვე წიგნები და სხვა. სკოლასა აქვს სამი განყოფილება და ჯერ-ჯერობით ერთ-კლასიან სასწავლებლად ითვლება. სასწავლო ოთახს გვერდზედვე აქვს მოდგმული ერთი დიდი გრძელი ოთახი იმ პანსიონერთათვის, რომელნიც შორის სოფლებიდამ არიან მოსულნი. აქ არის სულ ათი პანსიონერი. სკოლის ეზოში არიან კიდევ სხვა შენობანი, სადაც არიან გამართულნი სახელოსნონი ბავშვების სასწავლებლად: სადურგლო, სამჭედლო და სხვ.

წავედით სახელოსნოების დასათვალიერებლად. შევედით სამჭედლოში, აქ ადგა ვებერთელა კვერით გახურებულს რკინას ნემეცი მჭედელი, ამას ადგნენ თავს მოწაფეები და უყურებდნენ გაფაციცებულნი როგორ გამოჰყავდა უბრალო რკინიდამ სხვა და სხვა იარაღი. შევედით სამზარეულოში. აქაც იყვნენ შეგირდები, პაწაწა თეთრ ფართუკ აფარებული გოგოები, ფუსფუსებდნენ და სწავლობდნენ საჭმლის კეთებას. ამათში იდგა ერთი გამოცდილი ხანში შესული დედაკაცი და დედაშვილურათ ასწავლიდა ამათ მზარეულობას.

სადამოზედ შევედით პანსიონში. აქ დაგვიხვდა ერთი მოხუცებული დარბაისელი დედაკაცი. იმას ეხვივნენ ბავშვები და უყურებდნენ, როგორა ხელსაქმობდა. მე ვკითხე, არა დარდობენ მეთქი ეს უმაწვილები თავისს სოფლის და მშობლების დაშორებას? დედაკაცმა მიპასუხა, რომ მალე ეჩვევიან, რაკი მეც ამათებური დედაკაცი ვარო. მე განგებ ამიყვანა ამისთვის ბატონმაო (არღუთინსკიმ): ახლა ისრე ლამაზად ერთობიან: ხან წიგნებსა ჰკითხულობენ, ხან სწერენ, ხან თამაშობენ. ღამე როცა წვებიან, სხვა და სხვა ზღაპრებით ართობენ ერთმანეთს, მინამ არ დაეძინებათო.

ჯერ-ჯერობით სხვა სახელოსნოები არა აქვს გამართული სკოლის ამგებს. ამ უთვალად პატივცემულს და სამაგალითო პირს აქვს აზრათა და დაიწყო კიდეც ეს საქმე, რომ ეს თავისი სკოლა გადააკეთოს ოთხ-კლასიან სამეურნეო სასწავლებლად, რისთვისაც კიდეც აქვს გამართული მიწერ-მოწერა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულთან მედვედევთან. ბ. არღუთაშვილი უმაღლესის განკარგულების ძალით, რომლითაც ეძლევათ ხაზინიდამ 3500 მ. შემწეობა ამგვარის სკოლებისთვის, სთხოვს ხაზინამ აღმოუჩინოს ეს შემწეობა და თვითონა ჰპირდება: 1) ასის დღის სახნავს მიწას; 2) სკოლის შენობას 3) სკოლის ინვენტარს; 4) ექვსის დღის ვენახსა და ხეხილის ბაღს ყვავილის ბაღითურთ იქვე შენობებთან; 5) მმართველსა და მასწავლებლებს საცხოვრებლად თავისი სახლის ძირის სართულს; 6) სახელოსნოებს და სახელოსნო იარაღს; 7) პანსიონის რიგზედ და ჯეროვანად შენახვას თავისის ხარჯით.

და როგორც სჩანს მიწერ-მოწერიდამ, კიდეც შესრულდება ეს საქმე.

ერთი რამ არის სანატრელი, რომ აქ ამ სამეურნეო სასწავლებელში იყოს დაცული ქართული ენა და თუ შეიძლება შევიდეს აქ ქართულის ენის პროგრამმა პატივცემულის ილია წინამძღვარიშვილის სკოლისა.

დიახ, ასრე მოქმედობს ქართველთა გლეხთათვის ყველასაგან პატივ-საცემი ნიკოლოზ არღუთინსკი. ღმერთმან ჰქნას მცირედაც მაინც არის მიჰბაძონ ამას აქაურმა ქართველმა მებატონეებმა, რომ

---

ჩეხლებს, როგორღაც ბედი არა სწყალობდათ. XV საუკუნიდამ უბედურება ერთი მეორეზედ ატყდებოდათ თავზედ. ამნაირმა ბედშავმა ცხოვრებამ, რასაკვირველია, დიდის ხნით შეაჩერა მათში კულტურული მოძრაობა. 1620 წელს ჩეხლები დამარცხებულ იქმნენ გერმანელებისაგან. ამ დამარცხების შედეგი დღესაც აჩნევია ჩეხლებს. თითქმის მთელი ჩეხელი თავად-აზნაურობა გაწყდა ამ ომში. ვინც გადარჩა ძალაუნებურად უნდა დაეტოვებინა თავისი სამშობლო. მათი ადგილი დაიკავეს გერმანელმა ფეოდალებმა, რომელნიც ჩეხიაში ერცჰერცოგს ფერდინანდს მოჰყვნენ. ამან დაიპყრა პშემისლოვიჩების სამეფო. 30,000 ჩეხელი ოჯახობა ჩეხიიდამ გაიკრიბა, მათ ადგილზე გერმანელებმა დაიდვეს ბინადრობა. კულტურულის ცხოვრების ყოველივე მოძრაობა შესწყდა. „30 წლის ომმა" მთლად ერთიანად დაამხო ჩეხლები ქონებრივად. ჩეხიის მცხოვრებთაგან ორი მილიონიდამ 700000-ღა დარჩა. ჩეხია შეიქმნა გერმანელ მოხელეებისა და იეზუიტების საბურთაოდ, იგინი ყოველს ღონეს ხმარობდნენ, მოესპოთ ყოველივე საბუთი მისა, რომ აქ, ამ ადგილებზედ, ოდესმე სცხოვრებდა დიდი კულტურის მქონე ხალხი; ამ აზრის მისაღწევად გერმანელნი არაფერს არ ერიდებოდნენ და ყოველს ღონეს ხმარობდნენ რომ დაევიწყებინათ კაცობრიობისათვის ეს ოდესმე განათლებული ერი. ყოველს კვირას ჩეხლების ქალაქების მოედანზე კოცონები იყო გაჩაღებული: იეზუიტები სწვავდნენ ჩეხურს ენაზედ დაწერილს წიგნებს. ჩეხიის ქალაქები გერმანელებით აივსო; ამიტომაც თუ რომელიმე ჩეხელი ომს გადარჩა, მთლად გადაგვარდა, გაგერმანელდა.

მე XVIII საუკუნის დამლევს აღარ არსებობდა აღარც ჩეხელი თავად-აზნაურობა, აღარც მოქალაქე, აღარც ინტელიგენცია. ჩეხიის ეროვნებას მხოლოდ გლეხობა შეადგენდა. ის გლეხობა, რომელსაც უმაღლესი წოდება ისე უცქეროდა, როგორც პირუტყვს და ამიტომ არც-კი სცდილობდა მისს გაგერმანელებას.

დადგა დრო, როცა გლეხიც კაცად იქმნა აღიარებული. ეს იყო ბრწყინვალე ხანა იოსებ მე-II-ის მეფობისა. მისმა რეფორმებმა ჩეხელ გლეხსაც მისცა საშუალება ადამიანურად, კაცურად ეცხოვრა. სწორედ ამ მდაბიო ხალხიდამ გამოვიდნენ ის კაცები, რომელთაც დაიწყეს მუშაობა სამშობლო კულტურის განსაახლებლად, მისს აღორძინებლად. იმათ დაიწყეს ჩეხურ ლიტერატურის გაძლიერება. რასაკვირველია, ხელახლად დასჭირდათ განვითარების იმ ძაფის გაბმა, რომელიც ულმობელმა ისტორიულმა შემთხვევებმა გასწყვიტეს; ჩნდება ჩეხიის ინტელიგენცია, რომელიც არა ჰკარგავს კავშირს ხალხთან, არამედ სცდილობს, შრომობს მისს საუკეთესო მომავლისათვის.

ხასიათი ამ წერილისა ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით მოვიყვანოთ ჩეხიის აღორძინების ისტორია. ძალიან შორს წაგვიყვანს აღწერა იმისი, თუ რანაირად გაიღვიძა ამ ხალხმა ახალის ცხოვრების დასაწყებად, რანაირად სძლია საშინელს შემავიწროებელს გარემოებებს და რა ძლევა მოსილად გამოვიდა ამ ბრძოლიდამ. ეს ხალხი ეხლა ევროპის ერთ-ერთს საუკეთესო კულტურულ ნაწილთაგანს შეადგენს. გაიღვიძა და გარდაბადების გზას დაადგა ის ხალხი, რომელსაც არათუ მტრებმა, მოყვარეებმაც-კი სამარე გაუთხარეს და სიკვდილი და გაქრობა უწინასწარმეტყველეს.[2] მაგრამ სამასის წლის პოლიტიკურ დამოკიდებულებამ ისეთი ჭრილობა დაადვა ჩეხლებს, რომ საეჭვოა როდისმე მთლად განიკურნ ან მისგან.

აიღეთ ეთნოგრაფიული რუკა ჩეხლების პროვინციებისა—ჩეხიისა, მორავიისა და სილეზიისა და მაშინ ნახავთ რა შედეგი მოჰყვა ავსტრიელების ბატონობას ჩეხიაში. ავსტრიელებმა დაიპყრეს თითქმის მთელი სილეზია, სცდილობენ მორავია ჩეხიას ჩამოართვან. ავსტრიელები მთელის თავისის კულტურულ ძალით აღჭურვილნი,—ბეჭდვითი სიტყვით, სკოლით, ლიტერატურით ჩეხლებს ებრძვიან. ავსტრიელები ყოველის მხრით ავიწროვებენ ჩეხლებს, ჩანთქმას უპირებენ.

მაგრამ, თუ გინდა ამისთანა მტერს წინააღმდეგობა გაუწიო, იმავე იარაღითვე უნდა შეებრძოლო, რომელიც თვით მის ძალ-ღონეს შეადგენს, ე. ი. მტრის წინააღმდეგ, რომელიც კულტურულს იარაღს ხმარობს, კულტურულივე ფარი უნდა მიაშველო —ეს ფარი-კი ლიტერატურა, ბეჭდვითი სიტყვა, სკოლაა.

ამ კულტურულს ბრძოლაში ჩეხელ წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას („მატიცას") თუ არ უმთავრესი, დიდად შესანიშნავი ადგილი უჭირავს.

ავსტრიელები ყოველს ღონეს ხმარობენ ჩეხლები გააგერმანელონ. გერმანულს სკოლებში განსაკუთრებული სტიპენდია არის დანიშნული ჩეხელ ბავშვებისთვის. თუ-კი გერმანულს სკოლაში ივლიან, მათ ეძლევათ უფასოდ საუზმე, სადილი, ტანთსაცმელი, ფეხთ-საცმელი, წიგნები და სხვ. სხვა-და-სხვა სადღესასწაულო თავის შესაქცევარსაც-კი ჰმართავენ ხოლმე მათთვის. რასაკვირველია, ყველა ამას ისა აქვს აზრად, რომ ჩეხელი ბავშვები გერმანულს სკოლაში მიიტყუონ და ამგვარად მათი

---

[2] ცნობილი აბე იოსებ დობროვსკი შეუდგა ჩეხურის ენის ფილოლოგიურს კვლევა-ძიებას, რომ ერთი რამე მაინც დარჩეს ამ ხალხის მოსაგონებლადო, რადგან იგი სამუდამოდ დაღუპულია და თავის დღეში ფეხზე ველარ დადგება, წელში ვერ გაიმართებაო.

მელთაც ერთი ათად და ერთი ოცად ამაზედ მეტი აქვთ.

გიორგი ყანჩაველი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთებში დაბეჭდილია შინაარსი შემოსავლის რაოდენობაზე დადგენილი გარდასახადის კანონ-პროექტისა, რომელიც შეუდგენია რადიკალურ სამინისტროს. დედა-აზრი ახალის კანონ-პროექტისა ის არის, რომ გარდასახადი აკლდება ღარიბთ და ემატება უფრო შეძლებულთ. გარდასახადი ედება მათ, ვისაც 2500 ფრანკზე მეტი შემოსავალი აქვს წელიწადში, ვისაც ამაზე ნაკლები შემოსავალი აქვს, სრულიად თავისუფალია გარდასახადიდამ. გარდასახადი მატულობს შემოსავლის მიხედვით ამ რიგად: ვისაც 2500 ფრანკიდამ 5000-მდე აქვს შემოსავალი ის იხდის $1^0/_0$; 5000 ფრანკიდამ 10 ათასამდე—$2^0/_0$; 10 ათას ფრანკიდამ 20 ათასამდე—$3^0/_0$; 20 ათას ფრანკიდამ 50 ათასამდე—$4^0/_0$; 50 ათას ფრანკს ზევით—$5^0/_0$. რეაქციონერები წინააღმდეგნი არიან ამგვარის რეფორმისა და რადიკალთა კაბინეტს დიდი მეცადინეობა დასჭირდება კანონად აქციოს ეს პროგრესიული რეფორმა.

**ინგლისი.** „სტანდარდ“ სწერს ვრცელ წერილს სომხების საქმეების შესახებ და სხვათა შორის შენიშნავს, რომ ამ საქმეების გამო უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ თქმულაო. სულთანის მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა ისე შერყეული, როგორც ამ ჟამადაო. ევროპაში არ არის სახელმწიფო, რომელიც იკისრებს ოსმალეთის დაფარვასაო; ინგლისმა უკანასკნელი მსხვერპლი შესწირა. ინგლისი არ ეცდება დააჩქაროს ოსმალეთის იმპერიის დამხობა, მაგრამ თუ სხვა სახელმწიფოები ასე მოთმინებითვე არ იმოქმედებენ, ინგლისიც იტყვის უკანასკნელს სიტყვას. ისინი, ვინც ხელს უწყობდა იმპერიის დამხობას მით, რომ სულთანს მავნებელ რჩევას აძლევდა სომხების საქმეში, ეხლა დაუმეგობრდნენ სულთანს, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ დამეგობრებამ მათ რაიმე სარგებლობა მოუტანოს.

— მალე უნდა დაიწყოს პარლამენტის სხდომები ინგლისში. სესია საყურადღებო იქნება სხვათა შორის იმით, რომ პარლამენტს სჯა ექნება გარეშე პოლიტიკის შესახებ. მთავრობას დაეკითხებიან სომხეთის, ტრანსვაალის, ვენესუელის, სიამის და სხვათა საქმეთა შესახებ. შინაურ საქმეთა შორის, რომელნიც განხილულ იქნებიან სხდომებზე, საყურადღებონი არიან: 1) სამხედრო ძალისა და საკუთრად ფლოტის გაძლიერება; 2) მეურნეობის გაუმჯობესობა; 3) კანონმდებლობა ირლანდიის შესახებ და 4) საერო სასწავლებელთა შესახებ კანონმდებლობა და მათ საშუალებათა გაძლიერება.

— ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადოება ძალიან სცდილობს ინგლისსა და შეერთებულს შტატებს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნობა მოსპოს. განსაკუთრებული კომიტეტები-კი დაარსდა ამავე აზრით. „ვესტმინისტერი“ გაზეთმა გამოაქვეყნა ამ კომიტეტის წერილი, რომელსაც სახელად ჰქვიან: „ინგლისისა და ამერიკის შეთანხმება“. ამ წერილზედ ხელი უნდა მოაწეროს ყოველმა მსურველმა ინგლისისა და შეერთებულის შტატების მცხოვრებთაგანმა. მერმე უნდა წარუდგინონ თავიანთ მთავრობას. ეს წერილი სამი მუხლიდამ შესდგება:

1) რანაირი უთანხმოებაც არ უნდა ჩამოვარდეს ორთა სახელმწიფოთა შორის, რომელნიც ერთს—ინგლისურს ენაზედ ლაპარაკობენ, ამ უთანხმოების მოსასპობად ომი შეუძლებელია.

2) რადგანაც ომი არ შესაძლებელია, ამისათვის ხელის მომწერნი სთხოვენ ორთავე სახელმწიფოს მთავრობათ მედიატორეთა სამართალს მიანდონ თავიანთი საქმე და ამ სამართლის გადაწყვეტას დაემორჩილონ.

3) ხელის მომწერნი თხოულობენ რაც შეიძლება მალე დაინიშნოს სამუდამო ტრიბუნალი (სასამართლო), რომელსაც უნდა მიენდოს განსარჩევად ყოველივე სადავო საგანი ორის ნათესაობით დაკავშირებულის ერისა.

ამ უკანასკნელს აზრს თურმე ინგლისელი მთავრობაც სიამოვნებით ეგებება.

ინგლისის მთავრობაც სცდილობს თურმე დაუახლოვდეს და დაუკავშირდეს შეერთებულს შტატებს. თუმც ოფიციალურად არ მიუმართავს სოლსბერს ვაშინგტონის მთავრობისთვის ოსმალეთის წინააღმდეგ ერთად ვიმოქმედოთო, მაგრამ ეჭვი არ არის რომ ინგლისის მთავარ-მინისტრი სცდილობს გაიგოს, როგორ მიიღებს ასეთს წინადადებას შეერთებულ შტატების მთავრობა.

«ჰერალდი» ამბობს საეჭვოა, რომ შეერთებული შტატების წარმომადგენელნი დასთანხმდენ ამაზედაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— აქამომდე წიგნთა-ბეჭდვა, ესე იგი, ტიპოგრაფიის საქმე ეგონათ, რომ შემოღებულია ჰუტტენმერგისაგან. ამას ამტკიცებენ და ამტკიცებენ გერმანელნი. იტალიელნი ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ მოძრავი შრიფტი მოიგონა პირველად იტალიელმა პამფილიო კასტალდიმ, რომლის გამო დარჩენილია ამბავი, ვითომც ამას უსწავლებია ფაუსტისათვის მოძრავი შრიფტით ბეჭვდა და ფაუსტს ეს ნასწავლი შეუტანია გერმანიაში. ეხლა სულ სხვა გამოდის. რუმინის არხეოლოგს ადრიანე დიაკონეს გამოუცხადებია ერთს იქაურს ჟურნალში, რომ ერთს რომაელთა ძველის ბურჯის ნანგრევთა შორის, რომელსაც სახელად ჰქვია „ბერსოვია“ ტემეშვარა-ქალაქის ახლო ტრანსილვანიაში, მე ვიპოვე იმისთანა საგნები, რომელიც ჰმოწმობს, რომ ძველს რომაელებს წიგნთა-ბეჭვდა სცოდნიათო. გამოუძიებია მას შემდეგ ეს ახალი ამბავი ხსენებულს არხეოლოგს და უპოვია საბუთები, რომ მეოთხე ლეგიონს, ფლავია ფელიქსისას, რომელიც მდგარა დაკიაში, სცოდნია წიგნთა ბეჭვდის საქმე და ლეგიონერების საუწყებლად განკარგულება ჯარის-უფროსთა უბეჭვდიათ კარგად გასარჩევ ასოებითა. ორს წევრს ბუხარესტის სამეცნიერო აკადემიისას შეუმოწმებიათ და გაუსინჯავთ დიაკონესაგან ნაპოვნი საბეჭდო ასოები და სრულიად დასთანხმებიან მის მიერ დასკვნილ აზრსა. ამ სახით ნაპოვნი რუმინის არხეოლოგისა ტემეშვარის ახლო, ყოველს ეჭვს გარეშე ამტკიცებს, რომ წიგნთა-ბეჭვდა სცოდნიათ დაკიაში ჯერ კიდევ რომაელების დროს. (ნ.)

ვინ მოიფიქრებდა აქამომდე, რომ მტვერი რაიმე თანაშემწეობას გაუწევს სამართალსა და უშველიდა ავ-კაცის აღმოჩენას. გამოდის, რომ ესეც შესაძლებელია. აი როგორ: ერთი იმისთანა დანაშაული არ მოხდება, რომ ცოტად თუ ბევრად მტვერი არ დაესწროს და ამიტომაც მტვრის გამოძიება ხშირად ბევრს რასმე იტყვის ხოლმე. მიკროსკოპიულმა განაწილებამ (ანალიზმა) მტვრისამ აღმოაჩინა, რომ მტვერი ყოველთვის ერთისა და იმავე ნაწილებისა არ არის. ეგ სხვა-და-სხვაობა იმაზეა დამოკიდებული საიდამ არის აღებული მტვერი. მაგალითებრ, ქუჩის მტვერი უფრო ქვისა და კირისაა, მცენარის ნაშთისაა, ცხენის ფეინისაა და სხვა, ფაბრიკების მტვერი იმისია, რასაც ფაბრიკებში აკეთებენ. კალატოზის ტანისამოსი მთლად გამჯდარია ქვისა და კირის მტვრითა. ოთახების მტვერი ნავთის ნამწვისა, ხალიჩების ბალნისა, ტანისამოსის ჰაოსია, გაკრულის ქაღალდის საღებავისა და სხვანი. უმიკროსკოპოდ, რასაკვირველია, ამაებს ვერას დაინახავს კაცი, მიკროსკოპში-კი ისე აშკარადა სჩანს, რომ გამოცდილი კაცი არ შესცდება მტვერი რისაა და საიდამ.

ამ გზით მტვერი ხშირად გასცემს ხოლმე დამნაშავეს. აი მაგალითები: ერთ ადგილას სახლი გაექურდნათ. გაქურდულს ადგილს ქურდს თავისი ბლუზა დარჩენოდა. ბლუზას იმისთანა ნიშნები არა ჰქონდა რა, რომ მით პატრონი ეცნოთ. ბლუზა აუღიათ, შეუხვევიათ ქაღალდში, კარგათ შეუკრავთ და მთელი საათი წკეპლით საბერტყავად ურტყმიათ, მერე ფრთხილად გადუხსნიათ შეკრული ქაღალდი და ზედ-დაჩენული მტვერი მიკროსკოპით გაუსინჯავთ. პირველშივე აღმოუჩენიათ მტვერში ნაწილები და შემდეგ ამისა წებოს ნაწილებიცა. გამოსულა, რომ ქურდი დურგალი უნდა იყოსო. ამ გეზზე წასულა გამოძიება და მიუგნიათ იმ დურგლისათვის, რომელსაც უქურდნია. აი მეორე მაგალითიც: ერთს ჯარის-კაცს დაეჭრა ვიღაც მოქალაქე მწვანე მინდორზე ხმლითა. რადგანაც ეს ამბავი ჩხუბში მომხდარიყო, დამნაშავე ვერ ეპოვნათ, რადგანაც ბევრი მოჩხუბარი ყოფილიყო. ყველა ჯარის-კაცთა ხმლები დაესინჯათ, ერთი ხმლისაგან ჩამონაფხეკი მტვერი გაესინჯათ და ენახათ, რომ მტვერში ყვავილის ნაწილებია. მაშინვე სტაცეს თურმე ხელი და საბრალო ჯარის-კაცს მეტი გზა აღარა ჰქონდა უნდა გამომტყდარიყო. თურმე რომ დაუჭრია კაცი, მინდვრის ბალახი, საცა, რასაკვირველია, მინდვრის რაიმე ყვავილიც იქნებოდა, მოუგლეჯია ჯარის-კაცს და იმით გაუწმენდია გასისხლიანებული ხმალი. აი ამის მტვერმა გასცა საბრალო.

— ამბობენ, რომ ადამიანი, რომ ჰბერდება, ჭკუა და გონება უსუსტდებაო. ერთ ინგლისურ გაზეთს მოჰყავს მაგალითები, რომელიც თითქო უარ-ჰყოფს ამასა და თუ სულ არ ამტყუნებს, მაინც საეჭვოდა ჰხდის. ამ გაზეთს მთელი სია მოჰყავს დიდებულთა მოხუცთა და მათ შორის პირველია, რასაკვირველია, სახელოვანი გლადსტონი, მას მერმედ მოდის—საფრანგეთში კრებილიონი-მამა, რომელმაც თავისი უკანასკნელი ტრაღედია დასწერა 84 წლისამ, ვოლტერი და ჰიუგო, რომელთაც კარგა ბლომადა სწერეს, როცა ამავე ხნისანი იყვნენ, იტალიაში—მიქელანჯელო და ტიციანი, რომელთაც უღწევიათ 90 წლის ხნამდე, ამერიკაში—ფრანკლინი, რომელიც 82 წლისა იყო პრეზიდენტად, ინგლისში—ნიუტონი, რომელსაც 83 წლამდე არ აუღია ხელი შრომაზე. ვოდსვორტი, ტენნისონი, ბრუმი და ბოლოს პალმერსტონი. პალმერსტონი ასე ხანგრძლიობას შრომისა და მოღვაწეობის უნარისას იმითი ხსნიდა, რომ არამც თუ თავისს დღეში ღამ-ღამეობით არ მიმუშავნია, არამედ ფრაკს რომ გავიხდიდი და გადავაგდებდი იმასთან ერთათ მოვიხდიდი და გადავაგდებდი ყოველს მზრუნველობას და დარდსაცაო საქმეებისასაო. (ნ. მ.)

— 1895 წ. სასტატისტიკო ბიურომ ვაშინგტონისამ გამოაცხადა ცნობები შესახებ ჩრდილო-ამერიკის ეხლანდელ ეკონომიურ მდგომარეობისა. 1895 წელსაო ღირებულობა მთელ უძრავ-მოძრავის ქონებისა ჩრდილო-ამერიკაში შეადგენს ორმოც მილლიარდს დოლლარსაო. *) აქედამ ხუთიდამ სამი წილი მოდის უძრავ ქონებაზე, დანარჩენი მოძრავზე, მაგალითებრ, რკინის-გზებსა, მანქანებსა, ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვა ამისთანაზე. ორმოცი მილლიარდი დოლლარი, რომ თვითეულს მკვიდრთა სულზე გაიყოს, თითოს ჰხვდება 2400 ფლორინი. ** 1895 წელს მაშინ, როდესაც 1850 წელს ჰხვდებოდა თითოს 780 ფლორინი, 1860 წელს 1200 ფლორინი, 1870 წელს 1,812, 1880 წელს 1280 და 1895 წ. 1400 ფლორინი, როგორც ვთქვით ზემოდ. ამ სახით ორმოცდა ხუთი წლის განმავალობაში სიმდიდრეს ჩრდილო-ამერიკისას თითქმის სამნახევარ ჯერ უმატნია. (ნ.)

## თეატრის მატიანე.

„უბრალოდ დასჯილებმა“ უბრალოდ დასტანჯეს საზოგადოება. ეს პიესა ოსტროვსკისა მეტად მოსაწყენია, ერთობ გაჭიანურებულია და

*) დოლლარი თითქმის ორი მანეთია.

**) ფლორინი თითქმის სამაბაზუზალთუნია.

---

გადაგვარება გააადვილონ.

როცა ავსტრიელი ფაბრიკელი ჩეხელს მუშას დაიქირავებს ხოლმე, პირობას ჩამოართმევს, რომ მისი ბავშვები უთუოდ გერმანულს სკოლაში ივლიან. მდიდარი ავსტრიელი, ყოველს ღონესა ხმარობს, რომ მისმა ჩეხელმა მოსამსახურემ ბავშვები ჩეხურს სკოლაში არ მისცეს. ავსტრიელებს გვერდში უდგია ავსტრიის მთავრობა და, რასაკვირველია, ამ ორთავესთან შებრძოლება-კი მეტად ძნელია.

მათ უნდა შებრძოლებოდნენ ისეთის იარაღით, რომლის მოხმარების ნებასაც დრო და გარემოება იძლეოდა; უნდა ცდილიყვნენ დაეარსებინათ ჩეხური სკოლები იქ, სადაც უფრო საშიში იყო გადაგვარება, უნდა ცდილიყვნენ რაიმე ნაირად, რომ ჩეხელს თავის შვილი სამშობლო სკოლაში გაეგზავნა, (ჩეხიაში სკოლაში სიარული სავალდებულოა ბავშვებისათვის) რამე უნდა მოეხერხებინათ, რომ იქ, სადაც ჩეხელები ცოტანი არიან და არ შეუძლიანთ თავიანთის ხარჯით სკოლა ააგონ, სკოლები გამართონ საზოგადო ხარჯით, და ამგვარად ჩეხელი ყმაწვილები გადაგვარებისაგან ეხსნათ. ამ აზრით დააარსეს 1880 წ-ში ჩეხელთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება—„მატიცა“. ამ დიად საქმის დამწყებნი იყვნენ გიმნაზიის რამდენიმე მასწავლებელნი.

ხსენებულს საზოგადოებას დიდი იმედი ჰქონდა ჩეხელ ერთა და არც გაუმტყუვნდათ იმედი. ხუთის წლის განმავალობაში საზოგადოებამ მოკრიბა 804,000 გულდენი (500,000 მანეთზედ მეტი). მარტო ერთ მეხუთე წელიწადში შეკრიბეს 149,794 გულ.

ამ ფულით დააარსეს 33 ბავშვების თავ-შესაფარი, 23 სკოლა, 2 გიმნაზია; ყველა ამ სკოლებში იყო დანიშნული 153 მასწავლებელი. „მატიცას“ შემოსავალი თანდათან მატულობს; ამიტომაც მისი მოქმედებაც ფართოვდება.

1890 წ. „მატიცამ“ იდღესასწაულა 10 წლის იუბილე. ამ ათის წლის განმავალობაში შემოსავალი ყოფილა 1.578,685 გულდ. გასავალი-კი 1.367.800 გულდ. თავის არსებობის მეთერთმეტე წელიწადს „მატიცას“ ჰქონდა გამართული ერთი გიმნაზია, 33 სახალხო სკოლა და 33 ბავშვის თავ-შესაფარი. ერთი გიმნაზია და 15 სახალხო სკოლა „მატიცას“ მიერ დაარსებული სახალხო განათლების სამინისტროს მფარველობაში გადავიდა [3]), შვიდი სკოლა-კი სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათ მიიღეს თავისს მფარველობის ქვეშ. მასწავლებელთა რიცხვი „მატიცას“ სკოლებში 215-ამდის ავიდა.

1895 წლამდის «საზოგადოებამ» შეჰკრიბა $2^1/_2$ მილიონი გულდენი, მაგრამ ეხლა 25, 000 წევრი ჰყავს.

თუ გაიხსენებთ, რომ ჩეხელების რიცხვი, სულ რომ გაადიდოთ, ხუთ მილიონს არ აღემატება, თუ გაიხსენებთ, რომ ჩეხელებს არა ჰყავთ არც მდიდარი არისტოკრატია, არც დიდნი მემამულენი, მაშინ განცვიფრდებით და უთუოდ დაეკითხებით თქვენს თავს, საიდამ შეჰკრიბა ამდენი ფული „მატიცამაო».

თუ დაახლოვებით გაეცნობით ჩეხელთა ცხოვრებას და გაიგებთ, რომ ყოველი ჩეხელი მზად არის უკანასკნელი კაპეიკი შესწიროს, ყოველთვის ყოველსავე ნაციონალურს დაწესებულებას, მაშინ ადვილად მიაგნებთ „მატიცა“-ს გაძლიერების მიზეზს.

ჩეხელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არის საერთო საეროვნო დაწესებულება და ყოველსავე პარტიულ ინტერესს გარეშე სდგას. კონსერვატორი ძველ-ჩეხი, ლიბერალი—ახალ-ჩეხი, კლერიკალი, სოციალ-დემოკრატი ყველანი ერთნაირად და თანხმად თავს დასტრიალებენ და იღვწიან თაყვანსაცემელ „მატიცა“-სათვის. ის არ იფიქროთ, რომ „მატიცა“-ს მარტო ინტელიგენცია ასულდგმულებდეს. ამ დაწესებულების ინტერესებს ემსახურება ყოველი ჩეხი, რა წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს, რა საქმესაც უნდა ადგეს. „მატიცა“-სათვის ფულებს აგროვებენ და სწირვენ მუშები, ხელოსნები და გლეხები. თითქმის ყველაზედ უფრო ეს უკანასკნელები სწირვენ [4])

სამშობლოდამ გარდახვეწილი ჩეხელიც არ ივიწყებს „მატიცა“-ს. ყოველ წლობით ღებულობს „მატიცა“ მათგან რამდენსამე ათასს გულდენს: იღებს ამერიკიდამ, ავსტრალიიდამ, რუსეთიდამ, ლონდონიდამ, ვენიდამ და სხვა ადგილებიდამ, საცა-კი სამშობლოდამ გასული ჩეხელები სცხოვრობენ.

იმისთანა ჩეხელი არ არის, რომელსაც „მატიცა“-სათვის არა შეეწიროს-რა. იმისთანა ჩეხელი არ მოიპოება, იმისთანა ჩეხური დაწესებულება არ არის, რომელიც თავისს წმიდა მოვალეობად არა ჰრაცხდეს ამ „საზოგადოების“ შემწეობას. «მატიცას» შემწეობას უჩენს პრაგის პარლამენტი და ყველა ქალაქის საბჭო, სადაც-კი უმეტესი ხმოსანთა ჩეხელია, „მატიცას“ უგზავნის ფულს ყოველი ჩეხელი ბანკი, შემნახველ-გამსესხებელი კასსები და სხვა დაწესებულებანი. ისეთი საზოგადო და კერძო, ოჯახის, დღესასწაული არ იქნება გარახდილი, რომ „მატიცა“-ს არა ერგოს-რა.

კ—ა.

(დასასრული ხვალ).

[3]) ავსტრიაში შეიძლება ითხოვო, რომ სამინისტრომ თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს სკოლა, თუ-კი მისი საჭიროება დამტკიცებულია ე. ი. თუ სკოლაში კანონიერი რიცხვი მოსწავლეთა დაიარება.

[4]) არ უნდა დავივიწყოთ-კი, რომ ჩეხელი გლეხი კულტურის მხრივ მაღლა სდგას. თითქმის ყველამ იცის წერა-კითხვა. ყველა იწერს გაზეთსა და ჟურნალს.

დაუსრულებელი მონოლოგები ძილს გვგვრით. თუმცა ორი საუკეთესო არტისტი ჩვენის დასისა ბ. მესხიშვილი და ბ. აბაშიძე მონაწილეობას ღებულობდნენ ამ პიესაში, თუმცა რამდენადაც-კი შესაძლებელია მშვენივრად ასრულეს ამათ თავისი როლები, მაინც პიესის გაცხოველება ვერ შესძლეს. არ ვიცი რად დასჭირდათ ამის წარმოდგენა, ნუ თუ უკეთესი არა მოეპოვებათ რა ჩვენს რეპერტუარში. ბევრად უკეთესი იქმნებოდა „პირველი ბუზი“ გაემეორებინათ, რადგან ბევრს სურს ამ პიესის ხელ-მეორედ ნახვა.

რაიცა შეეხება მოთამაშეებს, გარდა უკვე მოხსენებულთა, ქ-ნი ავალიშვილისა მეტად სუსტი იყო პირველს მოქმედებაში. ვერ დაგვიხატა კარგად სულიერი ტანჯვა საყვარლის მოშორებისაგან გამოწვეული. აგრეთვე, ვერ დაგვისურათა გაოცება, გაკვირვება, აღელვება და აღშფოთება იმ წუთებში, როცა გაიგებს, რომ მის საქმროს თურმე ცოლი შეურთავს მისივე მეგობარი. დანარჩენს მოქმედებებში რიგიანად თამაშობდა, მაგრამ როლის უცოდინარობა ხელს უშლიდა.

კარგები იყვნენ თავიანთ პატარა როლებში ქ-ნი ჩერქეზიშვილისა. ბ. გუნია და ბ. შათირიშვილი.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ როლები არავინ არ იცოდა. მხოლოდ ამაში იმდენი დანაშაული თვით არტისტებს არ მიუძღვით. ამის ბრალი მათგან დამოუკიდებელი გარემოებებიც იყო: პიესის წარმოდგენა ძალა-უნებურად მოუხდათ („ხანუმა“ უნდა წარმოედგინათ, მაგრამ ველარ შესძლეს, რადგან ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა არ ჩამოსულა) და სუფლიორიც, როგორც გავიგე, გამოუცდელი ჰყავდათ. ხოლო ბ. გედევანოვმა მაინც გადააჭარბა როლის უცოდინარობაში, მხოლოდ მით თუ ეპატიება, რომ ძალიან იშვიათად შეხვდება ამგვარი საქმე.

ამ დღისთვის დანიშნული „დემონი“ აღარ წარმოუდგენიათ და კარგადაც ინებეს. სრულიად არ არის სცენისათვის მოხერხებული ეს პოემა.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი მაყაშვილნი. თავად მაყაშვილთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი მაყაშვილნი და ჩამოთვლილია 17 ოჯახობა.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 11 მაისს 1855 წ., 16 აპრილს 1858 წ., 7 იანვარს, 23 სექტემბერს და 14 ოქტომბერს 1859 წ., 20 დეკემბერს 1861 წ., 3 იანვარს 1862 წ. და 18 იანვარს 1867 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი მაყაშვილნი: 1) ლევან და ვლადიმერ გაბრიელის ძენი; 2) კონსტანტინე ათანასეს ძე; 3) ზაქარია გიორგის ძე; 4) ალექსანდრე და კონსტანტინე ივანეს ძენი; 5) ნიკოლოზ, იოსები და ივანე რამაზის ძენი; 6) გიორგი ტატოს ძე და 7) გრიგოლ რევაზის ძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 იანვარი.

**სოფია.** პრინცესა მარიამ-ლუიზა და პრინცი კირილე საზღვარ-გარეთ წავიდნენ. პრინცმა ფერდინანდმა პრინცესა ცარიბროდამდე გააცილა.

**ლონდონი.** გამოცხადდა დეპეშა, რომელიც ახალშენთა სტატს-სეკრეტარმა ჩემბერლენმა გაუგზავნა კაპის ახალშენის გუბერნატორს რობინსონს. ჩემბერლენი ამ დეპეშაში იხსენებს ტრანსვაალის რესპუბლიკის განვითარების ისტორიას და მეტად სწყინს, რომ მცხოვრებთა უმეტესობას, რომლის წყალობითაც სახელმწიფო შემოსავალმა 75,000-დამ 2,000,000 გირვანქა სტერლინგამდე იმატა, ხმა არა აქვს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

დასასრულ კრიუგერს იწვევენ ინგლისში წასასვლელად. თუ რომ კრიუგერის ტრანსვაალიდამ წასვლა შეუძლებელი იქნება, მაშინ კრიუგერთან მოლაპარაკება რობინსონს მიენდობა.

28 იანვარი.

**პეტერბურგი.** სასახლის მინისტრი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი რამდენიმე ხნით სხვაგან მიდის. ამიტომ სამინისტროს გამგებლობა მისს თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტს ბარონს ფრიდერიკს ექმნება დავალებული.

ს. პეტერბურგის ყველა გაზეთები გარდა „ს.-პეტერბურგის ვედომოსტე“-ბისა, სიხარულით ეგებებიან პრინცის ბორისის მართლ-მადიდებელ ეკკლესიასთან შეერთებას. ამ გარემოებით დარწმუნებულნი არიან გაზეთები ბულგარია სწორე განვითარების გზას დაადგება.

ტფილისში, ქუჩაზე, თავისს სახლის მახლობლად დანით მოკლულ იქმნა ვაჭარი გევორქოვი. ეს ბოროტმოქმედება ორს უცნობს ჩაუდენია და მაშინვე მიმალულან. განსვენებული მდიდარი და ძუნწი იყო. მკვლელობის მიზეზი ვერ გაუგიათ. როგორც სჩანს მაინც გაძარცვა არ უნდა ჰქონოდეთ განზრახული მკვლელებს.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ საახალშენო მხედრობის ორგანიზაციის პროექტი დაამტკიცა. საახალშენო მხედრობა სამხედრო სამინისტროს გამგეობის ქვეშ იქნება.

**ბერლინი.** ბისმარკის გაზეთი „ჰამბურგერ ნახრიხტენ“-ი ამბობს, რომ ვატიკანის წინააღმდეგობა გაუგებარიაო. პრინცს ფერდინანდს არ შეეძლო მთლად ბულგარიის ინტერესები თავისს ოჯახის ინტერესებს დაუმორჩილოს. გაზეთი ფიქრობს, რომ ვატიკანში დამარცხება უთუოდ აიძულებს მას მართლ-მადიდებლობა მიიღოსო.

**ვენა** როგორც ხმა ისმის, სულთანი თავისს წარმომადგენელს გაგზავნის სოფიაში მირონ-ცხებაზე დასასწრებლადაო.

რომის კურიას განზრახვა აქვს კათოლიკეთა არხიეპისკოპოსი გაიწვიოს ფილიპოპოლიდამ.

**პარიზი.** საერთაშორისო ბანკის დირექტორის გაჩხრეკის დროს ვერ უპოვნიათ საბუთის ქაღალდები, რომლებითაც მტკიცდებოდეს, რომ პანამის საქმეში 600,000 ფრანკი პოლიტიკურ მოღვაწეთ დაურიგდათ, რომელთა სახელებიც საიდუმლოდ დარჩა. იმედი აქვთ მეორე გამოძიება უთუოდ აღმოაჩენს ბევრს რასმე ახალს, საცა პირველმა ზეზეურმა გამოძიებამ არ აღმოაჩინა.

**ლონდონი.** კონსტანტინოპოლიდამ იუწყებიან, რომ სულთანმა სთხოვა სახელმწიფოთა ელჩებს აცნობონ, რა აზრისანი არიან იგინი ზეითუნის მცხოვრებთა მოთხოვნილების შესახებ, რომლითაც თხოულობენ ლივანის ოლქის დაგვარად იქმნას გადაკეთებული ზეითუნის ოლქი.

**ლონდონი.** ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა ხელახლად აღელვებულია ტრანსვაალის წინააღმდეგ იმ ამბის გამო, რომ კრიუგერმა ტრანსვაალში წესიერების დაცვა ჟანდარმებს მიანდო, ჟანდარმებს, რომელნიც გერმანელ ახალშენთაგან შესდგებიან.

29 იანვარი.

**სოფია.** პარლამენტის ყველა წევრები გამოცხადდა სასახლეში. პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვა სთქვა, რომლითაც მადლობდა პრინცს ბრძნული პოლიტიკური მოქმედებისათვის. პრინცმა პასუხად უგო: ჩემი მოვალეობა აღვასრულე იმ ხალხის მიმართ, რომელმაც ათის წლის წინად თავის ბედ-იღბალი მე ჩამაბარაო. მე ისეთი ჩემთვის მეტად სამძიმო, საშინელი მსხვერპლი მოვუტანე ჩემს ხალხს, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცისო. ჩემი შვილი შევსწირე ბულგარიის ბედნიერებასა და კეთილდღეობასო. ამ მოქმედებამ შეაფერხა ჩემი დამოკიდებულება ჩემის ოჯახის წევრებთანო. ხალხისაგან არა ტაშისცემასა ვთხოულობ, არამედ ნდობასა. ორი თებერვალი, იმედი მაქვს, შეიქმნება საძირკვლად საზოგადო აზრის გამოსაფხიზლებად. დასავლეთმა შემაჩვენა, მაგრამ აღმოსავლეთის განთიადი შარავანდედსა ჰფენს ჩემს დინასტიას და გვინათებს გზას მომავლისადმი.

ეს სიტყვა დიდის აღტაცებით მოისმინეს. შემდეგ წაიკითხეს ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა.

სულთანმა გამოუცხადა სტოილოვს უმაღლესი კმაყოფილება ბულგარეთის ბრძნულის პოლიტიკის გამო.

**ვენა.** პარლამენტის სხდომები სამს თებერვალს დაიწყება.

როგორც კონსტანტინეპოლიდამ იუწყებიან, ზეითუნის დამორჩილების შესახებ მოლაპარაკება უნაყოფო შეიქმნა, რადგანაც თვითეულმა მხარემ უარ-ჰყო პირობანი მოწინააღმდეგისა და სამაგიეროდ თავის პირობანი მიაწოდა. კონსულები იმ აზრის არიან, რომ ამათი მოვალეობა დასრულებულია.

„ნევ ფრეი პრეს“-ი ამბობს, რომ ავსტრ-უნგრეთი სრულიად არ ერევა ბულგართა შინაგანს საქმეებში, მხოლოდ იქამდინ-კი არ მიიყვანს საქმეს, რომ რომელისამე სახელმწიფოს გავლენამ ბოლკანიის სახელმწიფოებზე გადააჭარბოს ავსტრ-უნგრეთის ამგვარს გავლენას. ამ პრინციპს მტკიცედ იფარავს და ემსახურება როგორც ავსტრ-უნგრეთი, ისე სხვა ევროპის სახელმწიფოები დასაცველად ევროპის მშვიდობიანობისა და თვით ბულგართა საქმეთ წარსამართავად.

**ამსტერდამი.** ბოტავიიდამ იუწყებიან, რომ სვინტანგაში და ბორნეოს კუნძულის ერთს ოლქში დიდი აჯანყება მოხდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 26 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,10 | — „ | — „ |
| 5°/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 215½ |
| 4½°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | — „ | — „ | — „ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . | 100½ | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | 100 |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 100½ | — „ | — „ |
| 5°/₀იმავე ბანკისა . | 99 | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 99¼ |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ბ-ნს იესე ქი—რს:** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ტფ—ს: ნარს** თქვენი წერილი „მივბაძოთ“ ვერ დაიბეჭდება, რადგან ჩვენ უკვე გადათარგმნილი გვქონდა ეგ წერილი, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა რუდნევა 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—69).

„საბავშვო საავადმყოფო“
„იასლის“ საზოგადოებისა.

იღებენ ბავშვებს, მძიმე გადამდებ სენით ავადმყოფთ (ყვავილით, წითელით, ყელჭირვებით, დიფტერიტით და სხ.) ძუძუთა ბავშვებთან ერთად მიიღებიან მათი დედებიც, ანუ ძიძები. მიღება ავადმყოფთა ყოველ-დღე შეიძლება. წამლობა და ავადმყოფთა შენახვა უფასოა. (ვერა, წყნეთის ქუჩა, სახლი ხალიაპინისა). (5—3).

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:
ნ. ბარათაშვილის
ლექსები და წერილები.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.
მამის ერთგული.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.
მტრედი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.

მაქვს ფარჩაზედ დახატული **თამარ დედოფლის** სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე **ქართველთა ყველა გამოჩენილის** კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ-სახოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ლამპის საჩრდილობელი (აბაჟური) **ქართველთა გამოჩენილ მწერლების** სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დრობიშევის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.
აღა-მაჰმად-ხანის
შემოსევა ქ. ტფილისში.
თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.
ფასი 25 კაპ.
იყიდება ამხანაგობის სკიოკში.


Дозволено цензурою, Тифлисъ 29 го Января 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.